

ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2-4 საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ერთ ოთახზე, მოქალაქე მაყვალა გაპაგაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მოქალაქე მაყვალა გაპაგაძის წარმომადგენლის ბელა როსტიაშვილის განცხადება /2011 წლის 08.12 Nრ-9616/, რითაც ითხოვს საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ერთ ოთახზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2-4 საცხოვრებელი სახლი/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე მაყვალა გაპაგაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2-4 საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ერთ ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მაყვალა გაპაგაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2-4 საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ერთ ოთახზე /საერთო ფართობი 14,03 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 14,03 კვ.მ./ მოქალაქე მაყვალა გაპაგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე